კვირა, 19 სეკდემბერი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 კვირა, 19 სეკდემბერი, 1904 წ.

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | „ . . | 9 „ 50 „ |
| 10 | „ . . | 8 „ 75 „ |
| 9 | „ . . | 8 „ — „ |
| 8 | „ . . | 7 „ 25 „ |
| 7 | „ . . | 6 „ 50 „ |
| 6 | „ . . | 6 „ — „ |
| 5 | „ . . | 5 „ 50 „ |
| 4 | „ . . | 4 „ 75 „ |
| 3 | „ . . | 3 „ 50 „ |
| 2 | „ . . | 2 „ 75 „ |
| 1 | „ . . | 1 „ 50 „ |

# ივერია

№ 216 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 216

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

---

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია"

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე ჰღირს . . . 4 „ 75 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე ქალაქში . . . . . 2 „ 25 „

„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 2 „ 50

გაზ. „ივერიის" **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდგან 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის" რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა).

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საბურჩაში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**ზორაკანში:**—პართენ ნასიძესთან.

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверіа".

---

## ახალი საყმაწვილო ჟურნალი

## „ნაკადული"

**სურათებით.**

გამოიცემა მცირეწლოვან და მოზრდილ ყრმათათვის თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

### პროგრამმა:

1, მოთხრობა და ლექსები. 2, ისტორიული და სამეცნიერო პოპულიარული წერილები, ბიოგრაფია, მოგზაურობა. 3, აღმოჩენა-მოგონებათა ქრონიკა. 5, ნარევი: მოსწრებული სიტყვა,-პასუხი და ანეკდოტები, 2, სათამაშონი, გასართობი, რებუსები, ამოცანები, შარადა, გამოცანები, საყმაწვილო კარიკატურები და სხვ. 6, პედაგოგიური წერილები, 7, მკითხველთა წერილები, 8, ფოსტის ყუთი და 9, განცხადებანი.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში **5** მან. ცალკ-ცალკე **3** მან.

გამომცემელი ჟურნალისა კნ. ნინო ელიზბ. ქობულოვისა.

რედაქტორები { კნ. ელის. დ. ერისთავისა. ნინო ნიკ. ზურაბიშვილისა.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზედ № 5, სახლი პოპოვისა, სადგური მარიმ ივანეს ასულის დემურიასი.

**ხელის მოწერა მიიღება:** რედაქციაში, წერა-კითხვის გამავრც. საზოგად. კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

**ფოსტის ადრესი:** Тифлисъ. Редакція „журн. НАКАДУЛИ".

---

გაზეთ „ივერიის" რედაქციამ შესაძლებლად სცნო ა. სუმბათაშვილის 5 მოქმედ. დრამა-ლეგენდა

## ღალატი,

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოითხოვს, თითო წიგნი დაეთმობა ორ აბაზად, აგრეთვე ფას დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემული შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

თითო ცალი 10 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.

---

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

## ლ. დ. დონსკოისა

კვირას, 19 სეკდემბერს, წარმოდგენ. იქნება

## აიდა

ოპერა 4 მოქმ. და 6 სურ., მუს. ვერდისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი ტულლერი, შიხუცკაია-მინჩენკო და სხვ.; ბ-ნნი რიბაკოვი, კომაროვი, გალეცკი, დემიანენკო, ზალინსკი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჟიოვასსი**, პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია**.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეტევინი. კაპელმეისტერი ნიკ, მიკლაშევსკი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

ორშაბათს, 20 სეკდემბერს, წარმოდგენილი იქნება

## ჰუგენოტები

ოპერა 4 მოქმედებ., მუსიკა მეიერბერისა.

სამშაბათს, 18 სეკდემერს, წარმოდგენ. იქნება

## ევგენი ონეგინი

ოპერა 3 მოქმ. და 7 სურ., მუს. ჩაიკოვსკისა.

მზადდება პირველად ტფილისში «ნერონი», მუსიკა ა. რუბინშტეინისა.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელლერი.

---

ექიმი ქალი

**მარიამ ნიკოლოზის ასული**

## ზაალიშვილისა

გადავიდა ტფილისიდგან ქალაქ გორში, ერისთავის სახლებში.

(2—1).

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

## ნაწერები ს. მესხისა

ტ. 1. II+533 გვ.

ავტორის სურათით და ავტოგრაფით, გამოცემა ს. ფარცხალავასი. ფასი ერთი მ.

უმთავრესი საწყობი «წ. კ. გამავ. საზოგადოებაში».

---

ნაფიცი ვექილი

## გვაზავა

გადავიდა ლორის მელიქოვის ქ. მესხიშვილის სახლში, № 18.

5—3

---

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა წინად Набережная, სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ი. ბალარჯიშვილი**—ბავშვებისა, $9^1/_2$—$10^1/_2$ ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათ.

**ლ. ი. კამოევი**—საშარდესი, ვენერიული და ხირურგია. 11—12 საათ. ყოველ დღე.

**მ. ი. კიმონტი**—ხირურგია—კვირაობ., სამშაბათ., ხუთშაბათ. და შაბათ. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია ყოველ დღე 12—1 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—სიფილისისა და კანისა $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ.

**გრ. ვ. სოზოლევსკი** ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით. 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

**ლ. მ. მონინი.** ქალისა, საბებ. და ბავშვ და შემოწმება ძიძებისა ორშაბათ., ოთხშაბ. და პარასკევობით 2—1 საათ.

**ვ. ს. მუსხელაშვილი**—თვალისა ყოველ დღე, გარდა სამშაბ. და კვირ. 2—3 საათ.

**საღამოთი:**

**გრ. ვ. სოზოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია 5—6 საათ.

**ტ. ს. დავიდოვი**—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათ.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3—5 მანეთამდე დღე-ღამეში. სამკურნალო გაფართოვებულია ოცის კრაოტით.

ტელეფონი № 274

(ფ.)

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს —67 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაწაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოდაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როხტომბეზოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**გ. ს. ელვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არმანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

---

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

მუკდენთან.—ფრანგულ გაზეთის რჩევა.—წვრილი ცნობები.

მუკდენიდგან „რუს. სლოვოს" კორესპონდენტი ლოდიჟენსკი დეპეშით იწერება 12 სეკდემბერს.

ამბავი მოიტანეს, იაპონელები ძალიან მზადებაში არიან, რომ ერთბაშად წამოვიდნენ ყველა მხრიდგან. თითქმის ყოველ დღე ჩვენი აეროსტატი ადის და მტრის ბანაკებს ათვალიერებს.

ჩვენი მზვერავი რაზმები კი ვერას ახერხებენ, რადგან იაპონელების მოწინავე რაზმები ჩინებულად მოქმედობენ და ფარდასავით ელობებიან თავის ლაშქარს.

ჩინელები ცივ უარს ამბობენ, ვერ გემსახურებითო; გზის მაჩვენებლად და ჯაშუშებად არ მისდევენ ჩვენს რაზმებს, რაც უნდა სასყიდელი აძლიო. ამ დღეებში ორი ჩვენი აფიცერი უნდა გაეცილებინათ 16 ვერსის მანძილზე უშიშარ გზით, სადაც ვერავინ შეჰნიშნავდა, 500 მანეთი აძლიეს წინდაწინ და ვერც ერთი ჩინელი ვერ დაითანხმეს.

ჩინელების დღესასწაულია, მაგრამ მუკდენიდგან მაინც მრავალი ჩინელი იხიზნება. ქალაქში დიდი მოძრაობაა.

მოულოდნელმა სიცივემ ჩვენები აიძულა ჩინელებისთვის შეეკვეთათ დაბამბული ტანთსაცმელი ჯარის კაცებისათვის. ეხლა კი ცოტა ჩამოთბა, თუმცა ღამ-ღამობით კარგა ცივა. მთები ჩამოთოვა. ჩინელები დიდ ფულს იღებენ თბილ ტანთსაცმელში.

ჩვენის ჯარის ბანაკები ყოველ მხრივ საჩქაროდ მაგრდება. სჩანს, დიდი ამბები მალე უნდა მოხდეს.

მსროლელ პოლკის კაპიტანი ხასკინი, რომელმაც ვაფანგოუსთან თავი ისახელა და ორი ტყვია მოხვდა, შემდეგ ამბავს იუწყება, რომელიც ლიაოიანთან მომხდარა 18 აგვისტოს: იაპონელები 200 ნაბიჯზე მოუახლოვდნენ ჩვენს თხრილებს, შეჩერდნენ და უკან გაიქცნენ. უკანიდგან ჩვენებმა ტყვია დააყოლეს და მრავალი დასცეს. მეათე როტას უფრო ახლო დაუპირდაპირდნენ, მაგრამ იერიშის მოტანა ვერ გაბედეს. ჩვენს როტას დამალული ჯარი მიეშველა, მიესია იაპონელებს და თითქმის ყველანი შტიკზე ააგო. იაპონელების მედროშე წაიქცა და თავი მოიმკვდარუნა. დროშა ხელიდგან გაუშვა. ამ დროს მივარდა იაპონელი აფიცერი, დასტაცა დროშას ხელი, მედროშეს ხმალი დასცა და თითონ თავს უშველა.

—

«ბერლინის ტაგებ.»-ს ატყობინებენ დეპეშით ტოკიოდგან, მარშალ ოიამამ იაპონიის ლაშქარი გაშალა და მუკდენისაკენ მიიწევს. რენენკამფის, სამსონოვის და მიშჩენკოს ყაზახთა დივიზიები, რომლებსაც ქვეითი ჯარი და არტილერია ეხმარებოდა, უკან დასწია. ხუნხეს გამოღმა რუსებს მცირე რაზმები-ღა ჰყავს. იაპონელების კავალერიამ რუსის ჯარის ფრთების იქით წაიწია და მოწინავე რაზმები თითქმის ტელინს დაუახლოვა. (რ. ვ.).

—

ფრანგულ გაზეთ «ტანის» სამხედრო მიმომხილველი არ ეთანხმება იმ სპეციალისტებს, რომლებიც ურჩევენ გენერალ კუროპატკინს, მუკდენი მიატოვე და 1812 წლის ტაქტიკას დაადექიო. ეს სამხედრო კრიტიკოსი ამბობს, ეხლანდელი გარემოება სრულიად არ წააგავს ნაპოლეონის შესევას მოსკოვში და ამიტომ ეგრედ წოდებული «სკვითების ტაქტიკა» სანდო არ არისო.

მუკდენი ძველი სატახტო ქალაქია მანჯურიისა, აკვანია ჩინეთის ეხლანდელ სამეფო გვარეულობისა და მის წინაპარ-

თა განსასვენებელი სავანე. სწორედ ამიტომ გამოაცხადა მიკადომ მანიფესტით ამ რავდენსამე თვის წინად, რომ იმპერატორთა აკლდამებს მუკდენში იაპონიის ჯარის კაცები უდარაჯებენ და დაიცავენო. იქმნება ამ სიტყვებში საიდუმლო აზრიც იყოს. შესაძლოა იაპონიასა და ჩინეთს საიდუმლო ხელშეკრულობა ანუ პირობა ჰქონდეთ დადებული, რომელიც სავალდებულო იქმნება მხოლოდ მუკდენის აღების შემდეგ. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოებაც, რომ ჩინელი მოხელეები იაპონელების სურვილს ხალისით ასრულებენ და თვით იაპონელებიც ჩქარობენ მანჯურიაში ჩინელების ადმინისტრაცია დააწესონ და იმათი გამგებლობა შემოიღონ. ამითივე აიხსნება მუკდენის ძან-ძუნის ორპირი მოქმედება და მრავალი სხვა გაუგებარი გარემოება. თუ რომ ეს მოსაზრება მართალია, მაშინ რუსის ჯარი მალე მტრის სამფლობელოში იქმნება მომწყვდეული. (რ. ს.).

—

ვლადივოსტოკიდგან იწერებიან, 28 ივლისის ბრძოლის შემდეგ, როდესაც „ცესარევიჩზე“ მოკლულ მეზღვაურებს მარხავდნენ, უფროს აფიცერთან ღიმილით მივიდა დაჭრილი მატროსი, რომელსაც გიორგის ორდენი ჰქონდა გულზე, და ჰკითხა:

— რომელ მიცვალებულთან დავმარხოთ ეს მოჭრილი ხელი?

— იმასთან, რომლისაც არის.

— ეს ჩემია, თქვენო კეთ—ავ,—მხიარულად უთხრა მატროსმა.

— ჩააყოლე იმას, ვინც მეტად გიყვარდა,—ურჩია აფიცერმა.

მატროსი გაბრუნდა, ცოტა ხანს შემდეგ დაბრუნდა და აფიცერს მოახსენა:

— მე ჩემი ხელი ჩემის ადმირალის ფეხებთან დავმარხე.

ამ მატროსის გვარი ჯერ გამოცხადებული არ არის (რ. ს.).

—

პორტ-არტურთან ერლუშანის ფორტი იმიტომ აიღეს იაპონელებმა, რომ ერთმა იაპონელმა ჯაშუშმა მიაგნო ელექტრონის მავთულს, რომელიც სანგრისკენ იყო გაყვანილი და გაჭასჭრა. პორტ-არტურში ამას წინად ოთხი იაპონელი ჯაშუში აღმოაჩინეს და სიკვდილით დასაჯეს. (პ. ვ.).

—

ჩიფუდგან იუწყებიან, ამ დღეებში ორი ევროპიელი ექიმი პორტ-არტურში მოხერხებულად შეიპარა და საექიმო მასალა შეიტანა. იმათ თავისით მოუგონიათ სადეზინფექციო წამალი, რომელიც ადვილი გასაკეთებელია და პორტ-არტურის სანიტარულ მდგომარეობას ბევრად გააუმჯობესებს. (ნ. ვ.).

—

ბერლინის გაზეთებს ატყობინებენ კოპენჰაგენიდგან, იაპონელების აგენტები მართლა ცდილობდნენ რუსის გემები და ეზიანებინათ, როდესაც ზუნდსა და კატეგატზე გაივლიდნენ. ისევე უნდოდათ ჩაედინათ შვეციისა და შოტლანდიის ყურეებში. უცნობ კაცებს მეთევზეების ნავები დაექირავებინათ, რომ რუსის ფლოტის წინ ნაღმიანი ყუმბარები ჩეშვათ ზღვაში. საფიქრებელია, რუსის ფლოტს იაპონელების აგენტები გიბრალტარს, სუეცსა და პორტ-სადშიაც დაუხვდებიან. (რ. ს.).

## ტფილისი

დღეს, კვირას, 19 სეკდემბერს დილის 11 საათზედ, ქართულ თეატრის ფოიეში დანიშნულია ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო კრება, რომელმაც უნდა განიხილოს შემდეგი საგნები: 1) წლის ანგარიში; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3) არჩევნები სარევიზიო კომისიის წევრთა; 4) არჩევნები საზოგადოების ახალ წევრთა და 5) არჩევანი გამგეობის შვიდის წევრისა და სამის კანდიდატისა,

*** ცნობილი საქმე სომეხთა უწესოების შესახებ, რომელიც სომეხთა საეკლესიო ქონებათა ჩამორთმევის დროს მოხდა, ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებლის პროტესტის თანახმად, გაირჩევა უმართებულესს სენატში ამ წლის 14 ოკტომბერს,

*** როგორც გაზეთები იუწყებიან, ბათუმში 16 სეკტემბერს მომხდარ თავდასხმის დროს მოკლულ იქმნა ერთი ჟანდარმი, გვარად ბონდარენკო, და ერთიც საპოლიციო დარაჯი—კრისტალიუკი. ყაჩაღების შესაპყრობად უკვე მიიღეს ღონისძიებანი და მდევრები გამოუყენეს, მაგრამ ჯერ იმათ კვალისათვის ვერ მიუგნიათ.

*** 16 სეკდემბერს სხდომა ჰქონდა ტფილისის სასანიტარო-აღმასრულებელ კომისიას, რომელმაც, სხვათა შორის, დაადგინა, იშუამდგომლონ ქალაქის საბჭოს წინაშე, რომ ხოლერისაგან გარდაცვლილის სასანიტარო ექიმის სახლობას ქალაქმა პენსიად დაუნიშნოს 900 მან. წელიწადში, ფერშლის სახლობას—300 მან., ხოლო მომვლელთა სახლობას კი—180 მან. ქალაქის გასასუფთავებლად გადადებულ 21,000 მან. 16,000 უკვე დაიხარჯა, ასე რომ საჭიროა კიდევ იქმნას გადადებული ფული, რადგან ხოლერა ბაქოში უკვე მძვინვარებს და შესაძლოა ჩვენს ქალაქშიაც გადმოვიდესო. კომისიას წარედგინა აგრედვე სამის თვისათვის შედგენილი დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი, რომლითაც უნდა გადაიდოს 20,300 მან.; კომისიამ უცვლელად მიიღო ეს ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც საბჭოს წარედგინება დასამტკიცებლად 20 სეკდემბერს. კომისიის რწმუნებულთ მოახსენეს კრებას, რადგანაც ხოლერა ტფილისსაც ემუქრება, საჭიროა გაძლიერებულ იქმნას ტფილისში სასანიტრო ექიმთა რიცხვი, ჩვენ კი ამ ჟამად ტფილისში მხოლოდ 6 სასანიტარო ექიმი გვყავსო. კომისიამ დაადგინა, მოწვეულ იქმნას კიდევ 6 სასანიტარო ექიმი 12 ფერშალი და 12 სათნოების და, რომელნიც ხოლერით ავადმყოფთ მოუვლიან.

*** შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა სოფ. კუხის (ქუთაისის მაზრა) სამარხ კასის წესდება.

*** ბაქოში ხოლერა უკვე გაძლიერდა, რის გამოც ამიერ-კავკასიის რკინის გზათა გამგეობამ შეატყობინა სხვა და სხვა ნაწილთა უფროსებს დაუყონებლივ შეუდგეთ რკინის გზის სადგურებზედ სახლებისა, შენობისა და მოედნების დასუფთავებასაო. თუ საჭირო იქნეს, შემოგვითვალეთ და მუშებს ტფილისიდგან გამოგზავნითო. სადგურზედ უფროს სასანიტარო მზრუნველად სადგურის უფროსი იქნება. ამასთანავე რკინის გზათა გამგეობამ დაავალა მოძრაობის რევიზორთ, თვალყური ადევნეთ, რომ სისუფთავის დასაცველად ყოველივე განკარგულება რიგზედ იქმნას შესრულებულიო.

*** ხვალ, 20 სეკდემბერს, საზოგადო კრება ექმნებათ ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების წევრთ, 1-ლ კლასიკურ გიმნაზიის სადგომში.

*** სათავად-აზნაურო სკოლის სიმღერა-გალობის და მუსიკის მასწავლებელი ზაქარია ფალიაშვილი მიწვეულ იქმნა საიმპერატორო სამუსიკო სასწავლებელში მუსიკი[illegible] მასწავლებლად.

*** გუშინ ტფილისში მოვიდა ორი ავტომობილი, რომელიც ყოველ დღე ივლის ტფილისსა და სიღნაღ-თელავს შუა—კიდეც ავლენ ხსენებულს ქალაქებში ერთს დღეში და ტფილისშიაც დაბრუნდებიან.

## დეპეშა

(ს კოუთარი კორესპონდენტისაგან)

**ბაქო**, 18 სეკდებერი. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ დიდის მეცადინეობის შემდეგ მიაგნო ქურდების ბრბოს, 6 კაცისაგან შემდგარს ჯაჯანიძე და ჩიკვაიძე, რომლებზედაც ეჭვი ჰქონდათ, ამ ბრბოში არ ურევიან. ქურდების ამ ბრომ 1903 წლის მარტში რკინის გზის სასწრაფოდ ბარგის გადამზიდველ კანტორიდგან მორიგებულის გასაღებით დაკეტილი კასსა გაარო და იქიდგან მოიპარა 16,110 მან, ამავე წლის მაისში 31,965 მან. და ყალბ. ს საბუთებით ფასდადებით გაიტაცა 1,200 მან.; ბრბოს მეთაურობს ამ კანტორაში მოსამსახურედ ნამყოფი დომენტი დვებუაძე, რომელიც უკვე გამოტყდა დანაშაულის ჩადენაში და დააპატიმრეს.

### საინტერესო წიგნი.

ინგლისურს ენაზედ დაიბეჭდა ამ ხანებში ფრიად საინტერესო წიგნი ამ სათაურით «ახალი ინდოეთი» ჰენრი კოტტონისა. გამოფხიზლება და აღორძინება ყოველის ქვეყნისა, რომელიც დიდხანს იყო ძილს მიცემული, რა თქმა უნდა, საინტერესო და საგულისხმიეროა, მით უმეტესად, როცა იღვიძებს და ფხიზლდება იმისთანა ქვეყანა, როგორიც არის ინდოეთი. წიგნის ავტორი კონსერვატორია. ინდოეთი ზედ-მიწევნით შეუსწავლია. 30 წელიწადს ყოფილა იქ სამსახურში და დიდი ადგილიც სჭერია. ავტორის მამა-პაპასაც დიდხანს უმსახურნიათ ამავე ქვეყანაში. სერ ჰენრი კოტტონი ჰმოწმობს, რომ ახალი ინდოეთი დაიბადო, ესე იგი ინდოელთა შორის გავრცელდა და გაძლიერდა საზოგადოებური თვით-ცნობიერებაო. ავტორი თუმცა ტორია, კონსერვატორია, მაინც ამტკიცებს, რომ დიდის ბრიტანიისათვის ხელსაყრელია, კი არ დააბრკოლოს ეს გამოფხიზლება, არამედ, პირ იქით, დაეხმაროს და ხელი შეუწყოს, რომ დღევანდელი სახელმწიფო წეს-წყობილება მართვა-გამგეობისა უმაღლესის ფორმით შეიცვალოს, ესე იგი ისეთის ფორმით, რომ ამ აღმოსავლეთის იმპერიის საქმეებს განაგებდნენ მისნი საკუთარნი წარმომადგენელნი.

ავტორი გადაჭრით ამტკიცებს, რომ ეს არის საუკეთესო და საიმედო ღონისძიება, თუ გვინდა სამუდამოდ შევირჩინოთ ინდოეთი, როგორც ნაწილი ბრიტანიის იმპერიის კავშირისა და შეუძლებელ ვყოთ მისი დაპყრობა ვისგანმე. დამპყრობს შეუძლიან მიიმძლავროს და დაიპყროს ინდოეთი, რომელშიაც 300 მილიონი მცხოვრებია მხოლოდ მაშინ, როცა ინდოეთი თვით მოინდომებს ინგლისს ვანუდგეს. უკეთუ ინდოეთი თავისუფალი ქვეყანა იქმნება,—ამტკიცებს ავტორი,—იგი არ მოინდომებს დაემორჩილოს სხვა დამპყრობელს.

ამ ჟამად საკანონმდებლო და აღმსრულებელი უფლება ინდოეთში, როგორც ვიცით, ვიცე-კოროლისა და საბჭოს ხელშია. საბჭოში ექვსი წევრია, რომელთაც ჰნიშნავს ბრიტანიის მთავრობა ხუთის წლის ვადით. საკანონმდებლო საქმეთათვის საბჭო შეივსება ხოლმე 16 წევრით, რომელთაც თვით ვიცე-კოროლი ჰნიშნავს. მათ შორის რვანი სავალდებულოა მოხელენი არ იყვნენ. მათ შორისვე სამი-ოთხი ინდოეთის მკვიდრი უნდა იყოს. ინდოეთში სულ 8 პროვინციაა. ოთხს მათ შორის საკუთარი საკანონმდებლო საბჭო ჰყავს. დამოუკიდებელია აგრედვე კალკუტის სავაჭრო პალატა. ყოველს საბჭოში, როგორც ადმინისტრაციაშიაც, ყველა ადგილი ინგლისელებს უჭირავთ და უშველებელს ჯამაგირებს იღებენ.

ინგლისელები აკეთებდნენ ინდოეთში რკინის გზებს, საზოგადოდ სხვა გზა-კვალსაც აუკეთესებდნენ, სკოლებს ამრავლებდნენ, მაგრამ მთლად წეს-წყობილება მართვა-გამგეობისა დამყარებული იყო ესრედ-წოდებულს «განათლებულს დესპოტიზმზედ». დამპყრობლებმა განუზომელად მაღლა დააყენეს თავიანთი თავი და ამ სიმაღლიდან დაუწყეს ცქერა ადგილობრივ მცხოვრებთ. წესად არის შემოღებული, რომ იქაურმა, რა მდგომარეობაც უნდა ჰქონდეს საზოგადოებაში, ინგლისელს ძირიდან მაღლა შესცქეროდეს, როგორც უნცროსი უფროსს, ყმა ბატონსა. მაგრამ ამ უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში, კოტტონის სიტყვით, ინდოეთში დიდი ცვლილებანი მოჰხდა, ისე რომ «განათლებული დესპოტიზმი» უკვე სახეირო პოლიტიკა აღარ არის ინგლისისათვის. თვით-ცნობიერების განვითარება იქაურის ხალხისა დიდის ნაბიჯით მიდის წინ. წლობითა და თვეობით კი არ იზრდება, არამედ დღეობითა და საათობით.

დამპყრობლებმა თვისი წესი მართვა-გამგეობისა დაამყარეს იქაურთა შორის არსებულ ურთიერთ მტრობა-მძულვარებაზედ, რომელიც იყო გამოწვეული სარწმუნოების სხვა და სხვაობით. მაგრამ აგერ უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც იქაური მოსლემინები, ბუდდას მიმდევარნი და ბრამისა შეერთებულნი იღწვიან თანხმობით საერთო სამშობლოს გამოსაღვიძებლად.

საზოგადოების თვით-ცნობიერება ინდოეთში ამ ჟამად სამს გზას პოვებს თავის გამოსაჩენად. ეს გზებია პროვინციალური კრებანი, ნაციონალური კონგრესები და მწერლობა. პროვინციალური კრებანი ახლა ყოველ-წლივ იმართება ბენგალიასა, პენჯაბსა და ჩრდილო-აღმოსავლეთის პროვინციაში. ეს კრებანი მოსამზადებელი კრებანია ნაციონალურ კონგრესებისათვის, რომელიც აგრედვე ყოველს წელს ინიშნება. უკანასკნელ კონგრესზედ შემოკრბა 5,000 დელეგატი სხვა და სხვა მხრიდან. ამ სახით, ჩვენ თვალ-წინ იზრდება ნასახი ინდოეთის საკუთარის პარლამენტისა. ისინი, ვინც დიდხანს იყვნენ განცალკევებულნი სარწმუნოების მიზეზით, რომელნიც ოდესმე დანაშაულად სთვლიდნენ ერთად ყოფნას, ერთ ჭერ ქვეშ, ახლა მშვიდად და ამხანაგურად მსჯელობენ, რა არის საჭირო ერის კეთილ-დღეობისათვისაო. უკანასკნელმა კონგრესმა დაადგინა მაგალითად, რომ არ შეგვიძლიან დავეთანხმოთ ოფიციალურს ანგარიშს, რომელიც ამტკიცებს, ვითომ იზრდება ერის ქონებრივი წარმატებაო. კონგრესმა მხნედ გამოაცხადა პროტესტი იმპერიალიზმის ზრდის წინააღმდეგ ინდოეთის ხარჯზედა. გლეხთა სიღარიბე, რომელიც კონგრესის აზრით, ძლიერდება, გამოწვეულია, როგორც მხდრობის გაძლიერებით, ისე მამულის საიჯარო ფასების მატებით. კონგრესის აზრით, შემდეგი რეფორმებია საჭირო: განცალკევება საკანონმდებელო და აღმასრულებლის მთავრობისა, რეფორმა პოლიციისა, მიღება მკვიდრთა სახელმწიფო ამსახურში, რაიცა ძრიელ შეამცირებს ხარჯებს, შემცირება საიჯარო ფასისა, ასგლეხ-კაცო საადგილ-მამულო ბანკები, ახალის სისტემის სკოლები და სხვა.

მესამე გზა, რომლითაც თავს იჩენს ინდოეთის საზოგადო თვითცნობიერება მწერლობაა. გაზეთებსა და ჟურნალებს იქ აღკძალული არა აქვთ ოპოზიცია გაუწიონ მთავრობას. ინგლისის კონსერვატიული გაზეთები ძალიან სდევნიან. ამისგამო თუმცა ეს გაზეთებიც შეფიქრდნენ, როცა წინანდელმა ვიცე-კოროლმა დავა აუტეხა ერთს ჟურნალს, ასეთი და ასეთი პოემა რად დაბეჭდეო. პოემაში ლაპარაკი იყო, როგორ განაძევეს მთიულებმა მაიმუნი. რედაქტორმა გამოაცხადა სამართალში, რომ ეგ პოემა სანსკრიტული ლეგენდააო. ვიცე-კოროლმა-კი ასე ახსნა: ეგ მოწოდებაა მკვიდრთა, აჯანყდით ინგლისელთა წინააღმდეგაო. კოტონი თუმცა ტორია, მაგრამ მაინც ჰმოწმობს რომ ინდოეთის მკვიდრთა მწერლობას დიდი ღვაწლი მიუძღვისო. «ოცი წლის განმავლობაშიო,—ამბობს ავტორი,—ინდოეთის გაზეთები საცოდავი პატარა ფურცლები იყო და ახლა მეტად დარბაისელი და გავლენიანი ორგანოებია, რომლებიც შესანიშნავის დამოუკიდებლობით და ძალით ატარებენ კრიტიკის ქარ-ცეცხლში მთავრობის მოქმედებას. ეს მწერლობა გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს მთავრობას და აღუნიშნავს არ სტოვებს, თუ რამ ბოროტ-მოქმედება შეჰნიშნა. იქაურს მწერლობას დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს, აღვიძებს მკვიდრთა შორის მოქალაქურს თვით-შეგნებას და მამულის

## ფელეტონი

### მცირე რამ.

«ივერიის» № 205 და 207-ში ერთი საუცხოვო სტატია დაიბეჭდა: «ნერსესა და მათეოზა კათალიკოსნი». ამ სტატიის ავტორს მე სულ სხვა თვალით ვუყურებ ჩვენს მწერლობაში, ვიდრე უმეტესობას და მიტომაც მეჩხირა მისი ჰაზრი დ. ი. ყიფიანის შესახებ. იქ, სადაც ამტკიცებს, რომ ლორის-მელიქოვი სომხობდაო, განსვენებულ დ. ი. ყიფიანს ამგვარად იხსენიებს სხოლიოში: «ქართველობას ეხსომება, რა ცხარედ ამტკიცებდა განსვენებული დ. ი. ყიფიანი—ლორისი ქართველი აზნაურიშვილია და არა სომეხიო» და სხვ... ამით თითქოს უსამართლობას სწამებს ყიფიანს და ან შეცდომას უკიჟინებს და ვერ მივმხვდარვართ კი რად? მაშ, ვინ იყო ლორის-მელიქოვი თუ არ ქართველი? ისე, როგორც არღუთაშვილები, ბებუთაშვილები, თუმანაშვილები და მათთან ერთად სხვები, ყველა გრიგორიანები, მრავალ-საუკუნოების განმავლობაში ქართველებთან ერთად საქართველოს მკვიდრად აღსარებულნი? მართალია, დღეს სხვა მხრით დაუბერა ნიავმა, მაგრამ, რაც ქარის მოტანილია, ქარმავე უნდა წაიღოს და სიმართლემ კი თავისი უნდა გაიტანოს. ქართველ-გრიგორიანების სხვატომობას ვერც ისტორიული სიმართლე და ვერც საერთაშორისო კანონი ვერ იტყვის.

არსად მოიპოება მისთანა ერი, რომ სხვა ტომისა და მოდგმის ვინმე ოდესმე არ შემოხიზნებოდეს ძირეულ მკვიდრებს და მერე კი თვითონაც არ გამხდარიყოს მის ახალ სამშობლოს მკვიდრთაგანად, გინდ სხვა რჯულისაც ყოფილიყოს!.. ნაციას ისტორიული პირობანი და ადგილობრივი ზედ-გავლენა შეჰქმნის ხოლმე და არა სარწმუნოება! თვარა სარწმუნოებაზე რომ იყოს მიმდგარი საქმე, მაშინ ფრანცუზები, პოლონელები, იტალიელები, ავსტრიელები და მათთან ერთად ყოველი ქვეყნის კათოლიკენი სულ ერთის ტომის ხალხი იქნებოდა, ერთი ნაცია, მაგრამ, ცხადია, რომ რჯული ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია.

და, მაშ, რა აძლევს უფლებას ოდესმე შემოხიზნულებს, რომ ისტორიის გვერდი აუქციონ და გადასულ სათავეს მიჰმართონ ხოლმე და ისიც კიდევ სხვების სამკვიდროში?

ორასი წელიწადია მას აქეთ, რაც ვახტანგ მეფეს გადაჰყვენ რუსეთში ქართველები და იქ დარჩნენ. მათმა ჩამომავლობამ, არა თუ მათი ძველი მამა პაპური ენა აღარ იცის საქართველოს ძიწა-წყალი თვალითაც არ უნახავს და, ახლა რომ იმათ დაიჩემონ, რუსები კი არა ვართ, ქართველები ვართ და საერთო რუსებთან არა გვაქვს რაო, რადგანაც ჩვენი ძველები ერთ დროს საქართველოში ყოფილან და იქიდან გადმოსულანო, სასაცილო არ იქნება?.. ამ უსამართლო კანონს რომ მისდიონ, არც ერთ ქვეყანაში მკვიდრი ბევრი აღარავინ დარჩებოდა. მაშინ რუსეთში თვით ვარანცოვები, გოლოვინები, გაგარინები და სხვანიც მრავალნი აღარ გამოდგებოდენ რუსები.

საქართველოშიაც ბაგრატიონებმა ებრაელობა უნდა დაიჩემონ, რადგანაც თავდა-პირველად აქედან გამოსულან, ორბელიანებმა — ჩინელობა, ციციშვილებმაც ებრაელობა, აბაშიძეებმა აბაშელობა (აბესინია), ჭავჭავაძეებმა სპარსელობა და ამგვარ სხვებმაც! მაგრამ ეს ყოველგვარად მოუხერხებელი იქნებოდა..

და რაც ყველასათვის შეუძლებელია, ის, თურმე, მოსაფიქრებელია სომხებისათვის! მათი ალჩუ მარჯვნივაც ჯდება და მარცხნივაც, თუ მათთვის მოსახდენია და სასარგებლო, რჯულიც კანონად გამოადგებათ, ენაც და ჩამომავლობაც, და თუ არა, ყველას უარსა ჰყოფენ.

ერთხელ სომხის ერთ პატრიოტთაგანს დავეკითხე: ამ სამასის წლის წინეთ რომ ქართველი ვინმე გადასულიყოს სომხეთში და იქ დარჩენილიყოს, დასახლებულ-დამკვიდრებულიყოს, მის შვილსა და შვილი-შვილებს საქართველო,—ოდესმე მათი წინაპრების სამშობლო,—თვალითაც აღარ ენახოსთ, ქართულის ენის ნაცვლად დედა-ენად სომხური გახდომოდესთ და მხოლოდ მართლ-მადიდებლობა კი შერჩენოდესთ, ვინ იქნებიან: ქართველები თუ სომხები მეთქი? სომხის პატრიოტს გაუკვირდა!.. ეგ რა სათქმელია?!. სომხები იქნებიან, მაგრამ სარწმუნოებით კი მართლ-მადიდებელნიო. მაშ, თუ სომხეთში გადასულ ქართველისათვის სამასი წელიწადია საკმაო, რათა გასომხდეს, რჯულ--გამოუცვლელად, თქვენ რომ ათას სამას წელიწადზედაც მეტია, რაც საქართველოში ბრძანდებით და უარს რათ ამბობთ ქართველობაზე მეთქი?.. დაფიქრდა და მითხრა: ეგ სულ სხვა არისო... დიახ, ეს რაღაც «სხვაობა» უცნაურ უპირატესობას აძლევს სომხებს!... ვისაც ისინი წაეხახუნებიან, სცდილობენ, მაშინათვე სომხობა დააკისრონ და თვითონ კი, სადაც უნდა იყონ, სადაც თითო-ოროლად შეკინკილდებიან მათის არშინ-არახჩინით და ფეხს მოიკიდებენ, არა თუ არ იცვლებიან, პირ-იქით, სცდილობენ, რომ ყველას «წიწერნაკი» ამღერონ.

გადაჭარბებული პატრიოტული ნდომა-სურვილი ხშირად ნამეტანს მოაფიქრებიებს კაცს, თორემ განა სომხებმა კი არ იციან, რომ სტყუიან? იციან და მიტომაც წარსულს ეპოტინებიან! სიტყვითაცა და მწერლობითაც ჩვენს წარსულს უარს ჰყოფენ და უნდათ სხვები დააჯერონ, რომ საქართველო ქუთაისიის აქეთ არაოდეს არ ყოფილა!... აქ მხოლოდ სასომხეთო იყოო, და მაშასადამე, ჩვენც, სომხებმა, დღეს ჩვენსავე ნასაკუთრებზედ მოვიკალათეთო!...

მოყვარებას". ავტორს თვითონაც უხარის ინდოეთის გამოღვიძება და დიდის თანაგრძნობით ეკიდება. აქ თუ რამ არის საშიში, ის არის, თუ როგორ მოეკიდება ბრიტანიის მთავრობა ამ გამოღვიძებას. ინგლისელები თანაგრძნობით უნდა მოეკიდნენ ინდოეთის გამოფხიზლებას და ხელი შეუწყონ, რომ განათლებული დესპოტიზმი შესცვალოს უმაღლესმა სახელმწიფო ფორმებმა. მხოლოდ ამ გზით დამყარდება ჰარმონია მკვიდრთა და ინგლისელთა შორის. ძველი წესი ახლა აღარ ვარგა. მან დაჰბადა დიდი უნდობლობა მკვიდრთა მთავრობის მიმართ, ესე იგი ინგლისელებისადმი და ეს უნდობლობა ძლიერდება თვით-შეგნების გაძლიერებისამებრ. „ბიუროკრატიული, ანუ მოხელეების შემწეობით ამოძრავებული მანქანა მართვა-გამგეობისა იღრიტინებს კიდევ გლახა წისქვილივით მშვიდობიანობის დროს, მაგრამ განსაცდელი როცა დადგება, ძველი წესი საშინელს უბედურებას გამოიწვევს". სერ ჰენრი კოტტონი ამტკიცებს, რომ ეხლანდელი ვიცე-კოროლიც კი კარგად ჰხედავს იმ საშიშროებას, რომელიც წარმოსდგება არა საზოგადობრივის გამოფხიზლებისაგან, არამედ ბობოლა მოხელეთაგან. ამას წინად ვიცე-კოროლმა წარმოსთქვა სიტყვა და სასტიკად ამხილა ინგლისიდან მოსულნი მოხელენი, რომელნიც წურბელასავით მოჰკიდებიან ამ ქვეყნის სახელმწიფო აგებულებასაო. (რ. ვ.).

## ოსმალეთის ხონთქრის მურად მე-V სიკვდილი.

შორეულ აღმოსავლეთის უსაშინელესმა ომმა იმდენად მიიქცია მთელის ქვეყნიერობის ყურადღება, რომ ყველა დანარჩენ საყურადღებო ამბავთა მსვლელობას თავი მიანებეს. ეს ომი რომ არა ყოფილიყო, ოსმალეთის ხონთქრად ნამყოფის მურად მე-V გარდაცვალება ჟურნალ-გაზეთობასა და საზოგადოებაში ისეთ მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა, რომ, შესაძლოა, სალაპარაკო საგნად მხოლოდ ეს ამბავი გამხდარიყო, იმდენად მრავალ-ტანჯულია მისი ისტორია და უკანასკნელ აღმოსუნთქვის ხანა.

სიკვდილმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ ის ყოვლის შემძლეა. ვინ იფიქრებდა, რომ ოსმალეთის ხონთქრად ნამყოფი მურად მე-V სახელი კიდევ სალაპარაკოდ გახდებოდა? 30 წლის განმავლობაში ის დაპატიმრებული იყო და სასტიკ ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. ამ ხნის განმავლობაში მას არ დაუნახავს არც მზის სინათლე და არც ერთი სულიერი ადამიანი, გარდა ციხის ზედამხედველთა... თუ ყველა არა, ბევრი მაინც, რომელთაც კი იციან, თუ რა არის ოსმალეთის მართლ-მსაჯულება ან ციხეები, ჰფიქრობდა, რომ მურადი დიდი ხანია, რაც წუთისოფელს გამოესალმა, მაგრამ სინამდვილემ კი სულ სხვა დაგვანახვა—მურადი თურმე ცოცხალი იყო.

30 წელიწადი იჯდე სატუსაღოში, ბნელსა და ნოტიო ოთახში, არ იცოდე, რა ჰხდება შენს გარშემო, არავითარი წარმოდგენა არა მქონდეს მსოფლიო ცხოვრების მსვლელობისა, არა გყავდეს ხმის გამცემი, დავიწყებული ჰყავდე ნაცნობს, მეგობარს, ნათესავს, ძმას, მერე კიდევ ისეთს ძმას, რომელიც ოსმალეთის «ბრწყინვალე» ტახტზედა ზის ფეხმორთხმული,—განა რომ საშინელებაა, განა რომ ზღაპრულ ამბავსა ჰგავს, მაგრამ მწარე სინამდვილე კი არის!...

მაგრამ აი, გამოჩნდა სიკვდილი, რომელმაც იხსნა წამებისაგან, აღადგინა დავიწყების საფლავიდგან, რომელშიაც ის დამარხა მისმა ისტორიამ, და კვლავ აალაპარაკა მთელი ქვეყანა.

მთელი ცხოვრება განსვენებულის ex-ხონთქარისა მძიმე ტრაგედიაა. მთელი თავისი სიყმაწვილე მურადმა ტყვეობაში გაატარა და მუდამ შიშში იყო, ვაი თუ, დღეს არა ხვალ, წუთი სოფელს გამომასალმონო?!

მაგრამ ერთბაშად დადგა ისეთი დღე, რომ არა-ჩვეულებრივი რამ მოჰხდა: როდესაც მურადი იმის ფიქრში იყო, რომ დადგა ჩემის სიცოცხლის უკანასკნელი საათიო, უცბად გაიღო მისის ციხის ბნელ ოთახის კარები და შიგ შევიდა რამდენიმე უცნობი ადამიანი; ამათ მოჰკიდეს ხელი მურადს, გაიყვანეს სინათლეზედ, აჩვენეს ცა, ქალაქი, შემდეგ შეიყვანეს ხონთქრის სასახლეში, რომელიც ჰბრწყინავდა სიმდიდრითა და დიდებულ მორთულებით, და დასვეს ფადი-შაის ტახტზედ!...

ორის საათის წინად საპყრობილოში მჯდომი ტუსაღი ახლა ხონთქარი შეიქმნა!.. მაგრამ მურადს ბედმა თავის ახალ მდგომარეობით დიდხანს დატკბობა არ არგუნა. მან სულ სამ თვეს იმეფა. პირველ ხანს ჰფიქრობდნენ, რომ მურადი რეფორმატორი იქნებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ახალი ხონთქარი ნორმალურის ჭკუა-გონებისა არ იყო. შესაძლოა აგრეთვე, რომ უფრო მურადის კარგის თვისებანი იყო მიზეზი, ვიდრე მისი ფიზიკური სისუსტე, რომ მან ვერ შეინარჩუნა ტახტი: დედა მისი სლავიანთა შთამომავალი იყო და, როგორც ვიცით, ოსმალეთი მილიონობით სლავიანებს სულსა ჰხუთავდა და ეხლაც ჰხუთავს; ამიტომ მურადს ჰქენჯნიდა სინიდისი. წინად მურადს კაცისმკვლელის დანისა ეშინოდა, ეხლა კი, როდესაც მისს თავს გვირგვინი ამკობდა, სტანჯავდა ის გარემოება, რომ ამნაირმავე მკვლელობამ უანდერძა მას ტახტი (მისი წინამოადგილე მოკლულ იქმნა).

ამბობდნენ, რომ მურადის წინა მოადგილემ ხონთქარმა აბდულ-აზისმა თვითონ მოიკლა თავიო, მაგრამ მურადს ეშინოდა, ვაი თუ მისი მოკვლა მე დამაბრალონო. ეს შიში მას თავიდგან არ შორდებოდა, მოსვენებას არ აძლევდა და ამიტომ მიჰყო ხელი სმას:

—დარდების გასაქარვებლად!

ამ გარემოებამ ის იქამდე მიიყვანა, რომ ერთხელ თვით ჩერაგანის სახლის მეჩეთში—ეიუბში—განიზრახა სარტყელით თავის ჩამოღრჩობა, სწორედ იმ მეჩეთში, სადაც ხონთქარი აბდულ-აზისი გარდაიცვალა.

ყოველ შემთხვევაში, ის გარემოება რომ მან შესძლო და ოსმალეთის ციხის ატმოსფერაში 30 წელიწადს იცოცხლა, რაც მეტად საარაკოა, ამტკიცებს იმას, რომ მურადი მართლა ჰკუაზედ შეშლილი ყოფილა, თორემ ეს რომ ასე არა ყოფილიყო, შეუძლებელია, მისს სხეულს სულის სიძლიერე დაემორჩილებინა.

განსვენებული მურადი იყო ეხლანდელის ოსმალთა ხონთქრის აბდულ-ჰამიდის მკვიდრი ძმა, დაიბადა 1840 წელს და, როგორც ხონთქარ აბდულ-მეჯიდის შვილი, პრინცის სახელწოდებას ატარებდა; სახელად უწოდებდნენ მაჰმად მურად-ეფენდის. როდესაც 1861 წელს აბდულ-აზისი ტახტზედ ავიდა, პრინცი, რომელსაც ევროპიული განათლება ჰქონდა მიღებული პარიჟში, სახელმწიფოს საქმეებს ჩამოაშორეს და სასტიკად ექცეოდნენ. აბდულ-აზისმა 15 წელიწადი დაჰყო ტახტზედ. მის მბრძანებლობის დროს ოსმალეთი უფრსკულის ნაპირს დაადგა,—საკმაო იყო ერთი ხელის კვრა, რომ დაღუპულიყო. აბდულ-აზისი ძლიერ ღორმუცელა კაცი გამოდგა, გაუმაძღარ წურბელსავით დაუწყო წუწნა სახელმწიფო ხაზინას, ააგო თავისთვის უზარმაზარი კოშკები, ჰარამხანებზედ მილიონობითა ჰხარჯავდა და მეტიც ვეღარ შესძლო ისედაც სუსტმა ხაზინამ! ამ ღორმუცლობამ თვითონაც დაასნეულა და დაიწყეს ხალხში ლაპარაკი, რომ აბდულ-აზისს ამის შემდეგ ტახტის შენარჩუნება აღარ შეუძლიანო. ამასთანავე თავ-ქარიან ხონთქარს აზრად მოუვიდა, დაერღვია ოსმალეთის ტახტის მემკვიდრეობის კანონი თავის შვილის იუსუფიძედინისსა სარგებლოდ, რომელიც დაიბადა 1857 წლის 9 ოკტომბერს, ესე იგი იმ დროს, როდესაც ჯერ მისი მამაც არ იყო ხონთქრად. ამას წინააღუდგნენ მოხუცნი-თურქნი, ეგრედ-წოდებული „ულემების" დასი, როგორც სანფრანგეთსა და ინგლისში იყო. უცბად ხონთქარმა თავისი შვილი, ოსმალთა ჩვეულების წინააღმდეგ, დანიშნა მთელის მხედრობის მთავარ-სარდლად და ამავე დროს დაიჭირა და ციხეში დაატუსაღა თავისი ძმისწული მაჰმად-მურად-ჰამიდი, ეხლანდელი ხონთქარი ოსმალეთისა. ამ გარემოებამ უფრო გაამწვავა საქმე და ცეცხლზედ ნავთი დაასხა, მით უფრო, რომ ოსმალებს დიდის ხნიდგანვე დიდი იმედი ჰქონდათ აბდულ-მეჯიდის უფროსის შვილის მურადისა, რადგანაც ის სიყრმიდგანვე მრავალ-ტანჯული იყო და ამით დაიმსახურა ხალხის თანაგრძნობა.. მართლაც, ხალხი უკიდურეს მდგომარეობაში იყო, წელისწყდებოდა და ყველანი ჰფიქრობდნენ, მურადი გაჭირვებაში გამოცდილი კაცია, იცის ჩვენი გაჭირვება «ჩინოვნიკურად» არ მოგვეპყრობა და ძირითად რეფორმებს მოახდენსო...

დ. ჯაში.

(შემდეგი იქნება)

## რუსეთი

ფინანსთა სამინისტრო აპირობს შეიმუშაოს წესდება სიცოცხლის დაზღვევისა. სიცოცხლის დაზღვევა იწარმოებს სახელმწიფო შემნახველ კასებში და ისე იქმნება თითქმის მოწყობილი, როგორც კერძო დამზღევ საზოგადოებათ აქვთ მოწყობილი ეს საქმე.

—

განზრახვა აქვთ დააარსონ ცალკე კურსები ფარმაცევტების მოსამზადებლად.

## წერილები რედაქციის მიმართ

### I.

ნება გვიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ, როგორც ჩვენის, ისე მთელის ლიხაურის საზოგადოების მხრივ, მღ. ბენიამინე კონტრიძეს, სვიმონ კონტრიძეს, თომა ლომჯარიას და გიგო ერქომაიშვილს, რომელთაგანაც პირველმა შემოსწირა ლიხაურის სკოლის სამეურნეო განყოფილების სასარგებლოდ ათი მანეთი, მეორემ—ხუთი მანეთი, მესამემ—ხუთი მანეთი და მეოთხემ—ორი მანეთი.

ლიხაურის სოფლი მამასახლისი ა. გაშაყაძე, ლიხაურის სკოლის საპატიო მზრუნველი ბ. ბებურიშვილი, სკოლის ზედამხედველი ბ. მენაბდე.

კომიტეტის წევრნი: მღ. ან. ცეცხლაძე, მღ. ნ. კონტრაძე, რ. კონტრაძე, ს. თაყაიშვილი, თ. ბებურიშვილი.

### II

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ «ივერიის» მახლობელ ნომერში შემდეგ ამბავს:

პარასკევს, 17 სეკდემბერს, საღამოს $5^1/_2$ საათზედ, სავაჭროდ გახლდით თამამშევის ქარვასლაში. სურაქოვის მაღაზიაში მივედი, გადმოვაღებინე მაუდი და მოვაჭრევინე ორი ადლი, თითო 1 მან. 20 კაპ.; ნოქარმა შემიხვია, ფული მივეცი და როდესაც წამოსვლას ვაპირებოდი, მომაძახა, ქალბატონო, თუ სარჩულიც გნებავთ, ჩვენგან წაიღეთ, კარგ ნაჭერს მოგართმევთო. მივბრუნდი და მოვაჭრევინე სამი არშინი სასარჩულე, თითო არშინი 22 კაპ. პირველად მაუდი რომ მომაჭრა და შემახვია, მივეცი ქაღალდის სამ მანეთიანი და ხურდა არ გამოუბრუნებია, ხოლო როცა სამი ადლი სარჩულიც მოვაჭრევინე, მივეცი მეორე სამ მანეთიანი და ვუთხარი: ექვსი კაპეიკიც აიღეთ აქედგან და დანარჩენი ხურდა გვიბოძეთ-მეთქი. წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როდესაც, ხურდის მაგივრად, ნოქარმა მიპასუხა: «ღმერთი ხომ არ გაწყალებსო! (სწორედ ამ სიტყვით მომმართა ხალხში), როდის მომეცით ფულიო!» თუმცა ბევრი ველაპარაკე, მაგრამ ის მაინც თავისას გაიძახოდა. იქვე მდგომმა პატარა ბიჭმა უთხრა ამ ნოქარს,—აგი წედან დაზგიდგან აიღე სამი მანეთიო, მაგრამ მან ისეთ ნაირად დაუყვირა, რომ ბიჭს ენა ჩაუვარდა. შემდეგ შეიყვანეს შიგ მაღაზიაში, რადაცა ელაპარაკეს და, როდესაც გამოვიდა, იმანაც ის გაიმეორა: არ მოგიციათ ფულიო. ასე და ამნაირად, პირში ჩალა-გამოვლებული გამომისტუმრეს სურაქოვის მაღაზიიდგან. ამას კიდევ ვინა სჩიოდა, რომ არ გაგვლანძღე კიდეც!

ეკატერინე ალექსანდრეს ასული მერაბიშვილისა.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

17 სეკდემბერი

**შანჰაი.** (რეიტერი). იაპონიის აფიცერი იუწყება, დახოცილთა და დაჭრილთა რაოდენობა პორტ-არტურთან ბევრით აღემატება 30 ათასსა. ნამდვილის გამოანგარიშებით სჩნდება, რომ ამჟამად იაპონიაში დაახლოვებით 40 ათასი გაწვრთნილი ჯარის-კაცილაო. ხმაა, ემზადებიან, რომ ამ შემოდგომაზედ დაიპყრან ვუნძული სახალინი ნახშირის მადნებიანად.

**სეული**, 15 სეკდემბერი (რეიტერი). გენზანიდან მოვიდა ამბავი, იაპონელები შეუდგნენ გაცხარებით თავდარიგს, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ კორეიაში მტრის გადმოსვლა შეაჩერონ. ვლადივოსტოკიდან წამოსული რუსის რაზმი გადმოვიდა სიოტის ახლო, 2 მილზე სამხრეთ-დასავლეთად ხამხინიდგან. 40 ცხენოსანი ნახეს, რომელნიც ზვერავდენ ხამხინის ჩრდილოეთად მდებარე ადგილებსა ამ რაზმა დაჰყო 24 საათი და მერე ისევ უკან წავიდა.

**ჩიფუ.** (რეიტერი) აქ მცხოვრებმა რუსმა მიიღო ამბავი, დასავლეთის მხრივ პორტ-არტური თავისუფალიაო შესავლელად, მაგრამ იაპონელნი მიდიან მძიმედ და ფრთხილად, რადგანაც ნაღმით არის აქაურობა მოკირწყლული. იაპონელებმა ყუმბარები დაუშინეს გუანშიანს $2^1/_2$ მილის მანძილზე კუსაშაის ველიდან. იაპონიის ჯარები ძალიან დაქანცულია მეტის ჯაფისაგან.

**ხარბინი.** ლაშქარში არავითარიმე ცვლილება არ ყოფილა ამ უკანასკნელ დღეებში, მხოლოდ ყოველ დღე მცირე რამ სროლაა ხოლმე. ამ დღეებში ჩვენმა კავალერიამ გაჰფანტა მტრის მზვერავთა ორი გუნდი და წაართვა კარგა ბლომად პირუტყვი საქონელი.

**ოდესა.** 17 სეკდემბერი. ხელმწიფე იმპერატორი და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე მობრძანდნენ სადგურს ადესა ზასტავას ორს საათზედ ჯარების დასახედავად. ჯარების გასინჯვა გათავდა 4 საათს 10 წუთს, შემდეგ ხელმწიფე წაბრძანდა ადესის უმთავრეს სადგურზე და იქიდან საკათედრო ტაძარში მიბძანდა, ადესიდან ხემლწიფე იმპერატორი წავიდა 6 ს. და 2 წუთზე.

**მუკდენი.** მართლდება ის ხმა, რომ იაპონელებს სამხრეთად სუსტი ძალა აქვთო. მოწინავე რაზმი სდგას იანტაის მადნებიდან დასავლეთად. იმათ აქვთ ლარი გაბმული დაშიცაოდან მდინარე თაიციხემდე. კუროკი ისევ აღმოსავლეთად იწევს.

**პარიჟი.** იუწყებიან, ვლადივოსტოკის ლაშქარი გენერალ ლინევიჩის უფროსობით აპირებს კორეისკენ გალაშქრებას, რომ მტერს შიშის ზარი დასცეს. იაპონელებმა 2 ათასი კაცი გაგზავნეს ლინევიჩის წინააღმდეგაო.

**ჩიფუ** (რეიტერი). იაპონიის ნაღმის მმუსრველმა ჩიფუსთან ახლო გადასხა 18 ჩინელი მუშა (კული), რომელნიც იაპონელებმა ნავებზე დაიჭირეს, ამათ მიჰქონდათ წერილები და ფოსტა პორტ-არტურიდან და ცდილობდნენ ალვას გაჰპარიყვნენ. 14 სეკდემბერს პორტ-არტურიდან მოსული ჩინელები იუწყებიან, უკანასკნელი იერიში ციხისა წინანდელის გამეორება იყოო. იაპონელები საოცარის გაბედულებით შევიდნენ რუსის პოზიციებში, მაგრამ თავი ვერ შეიმაგრეს, რადგან დიდი ფორტებიდან ერთობ ძრიელ ესროდენო.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენერალ-ლეიტენანტის სახაროვისა 17 სეკდემბრის თა-

---

ძველად, ბატონ-ყმობის დროს, ბევრი იმერელი გადმოვარდნილა აქეთკენ, რაიმე მიზეზისა გამო, და მოუნდომებია თავის დაფარვა. იმათ ქალაქში მცხოვრები გრიგორიანები მფარველობას უწევდნენ. ბევრი მათგანი იძულებულიც გახდა, რჯული გამოეცვალა და გადასულიყო გრიგორიანთა წესზე. მაგალითად, წერეთელმა, აბაშიძემ, გველესიანმა, ლომიძემ, დუჩიძემ, ხატისაშვილმა, ნაკაშიძემ და სხვათა მრავალთა!. დღეს ამ გადავარდნილების ჩამომავობა სომხებად ითვლებიან, თუმცა არც ამათ და არც მათ წინაპრებს სასომხეთო თვალითაც არ უნახავთ!.. სიმართლის მოყვარე პუბლიცისტი ჯანშიევი თვისს „ბორჯომის აღწერაში" კი ამტკიცებს, რომ ეს «ძეები» და «შვილები» ძველის-ძველთაგანვე ჩამომავლობით სომხები არიანო!...

ოსმალებმა რომ საქართველოს დიდი-ნაწილი ჩაიგდეს ხელში და მთელ სამესხეთოს ძალას ატანდნენ, რომ გაეთათრებინათ, მაშინ მხოლოდ მართლმადიდებლობას სდევნიდნენ და არა გრიგორიანებსა და ფრანგებს, რომელთაც მოსარჩლე ჰყავდათ ხონთქრის კარზე და მიტომაც უპატრონოდ დარჩენილმა ქართველობამ, ზოგმა კათოლიკობა მიიღო, ზოგმა გრიგორიანობა და მით გადარჩენ ისლამს!..

სომხებმაც ისარგებლეს ამით და სარწმუნოება საფუძვლად დაუდვეს ეროვნებას, გამართეს სკოლები და ქართველობაზე ხელი აიღებიეს. ამ გვარად ახალციხის დ ახალქალაქის მაზრის მცხოვრებლებს და მათთან ერთად თითქმის მთელ სამესხეთოსაც, ვინც კი არ გამაჰმადიანებულა, სომხობა დააკისრეს. არა თუ მარტო იმათ, კატოლიკეებსაც კი სული ამოჰხადეს: ქართველთა კათოლიკობა არ შეიძლებაო, გინდა თუ არა, სომეხთა კათოლიკობა იკისრეთ და გასომხდითო!... წირვა-ლოცვა კი აუკრძალეს დედა-ენაზე. სომხების პროპაგანდა ისეთი მოხერხებულია, რომ ართვინელები, ნამდვილი ქართველები, დღეს ქართულსაც ვეღარ ახერხებენ და ეს სულ ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში მოჰხდა...

სომხობამ დღეს გაიდგა ჩვენში ფესვი და გაიმართა წელში, თვარა, ადრე, არა თუ ქართველი გრიგორიანი, მართლად და დროებით სასომხეთოდან მოსულებიც ვერ ჰბედავდნენ, რომ გაემხილათ თვისი სომხობა!.. ქართველები ვართო, გაიძახოდნენ. მაგრამ სომხებმა იციან ალღოს აღება და, როცა როგორც დასჭირდებათ, ფერს ისე იცვლიან ხოლმე.

იყო დრო, რომ „შვილით" და «ძეობით» მოჰქონდათ თავი; მერე «ოვი» და «ევი» მიითვისეს და ახლა კი «იანცობას» გაჰკივიან!...

ერხელ «ნოვოე ვრემიაში» სასაცილო ამბავი იყო მოთხრობილი; გორის მაზრაში სცხოვრობენ ხუცისშვილები, რაღა თქმა უნდა, ძირეულად ქართველები. უმეტესობა ამ გვარეულობისა მართლმადიდებელია, მაგრამ ზოგი კი გრიგორიანებად დარჩენილან. და ეს ახალგადარჯულებულნი ჯერ ხუციშვილებად იწერებოდნენ ისე, როგორც მათი სხვა ქართველი სახლიკაცები; მერე, როცა რუსეთი მოიწვია საქართველომ, ხუციევებად აღიარებდენ თავს და, როცა სულ დარწმუნდენ, რომ რუსობა დამკვიდრდაო, «პაპოვებად» გადაკეთდენ და ახლა კი პაპოვიანცები არიანო...

ამ გვარი მაგალითები მართლა და ბევრია!... ლორის-მელიქოვს კი თავისის პირით მის დღეში არ ულვიარებია საქართველოში სომხობა. ყოველთვის ქართველად მოჰქონდა თავი და ან კი რა სინიდისი მისცემდა ნებას, რომ სხვა ფრად მოქცეულიყო?

ის რომ კიევში გენერალ-გუბერნატორად იყო, მაშინ იმის შესახებ ერთი კორესპონდენცია იყო დაბეჭდილი ერთს სატახტო გაზეთთაგანში, აღარ მახსოვს კი, სახელდობრ, რომელში: კიევის გენერალ-გუბერნატორს, ლორის-მელიქოვს წარუდგა თხოვნით ერთი ვიღაც ვაჭარი და სხვათაშორის, მოახსენა: «სომეხი ვარ და ვალდებული ხარ მიპატრონოო!» გრაფი გარისხდა და უპასუხა: მე სომხური მაინც მისწავლია და შენ კი ისიც არ იციო!... რას მიქარავ, აქ სომხობას რა ხელი აქვს? მამა-პაპით, ჩამომავლობით, ჩვენ საქართველოს შვილები ვართ და პოლიტიკურად კი ყველა რუსებიო. სომხები სასომხეთოში უნდა იყვნენო!».

ამისთანა კაცზე რომ დ. ი. ყიფიანს ეთქვა, ქართველია და არა სომეხიო, განა სიმართლე არ ექნებოდა? და თუ ლორის-მელიქოვი გულში სულ სხვასა ჰფარავდა ზოგიერთებივით და სომხობდა, ეს რა ყიფიანის გადასახადია? ყიფიანი მხოლოდ იმას ამბობდა, რა უფლებით და რა კანონით შეიძლება, საქართველოს მკვიდრ გრიგორიანებს სომხობა უთხრას კაცმა და არა ქართველობაო?!..

ეს ყოლიფერი კარგად ესმის, არა თუ ზემოხსენებულ სტატიის ავტორს, იმ ქართველებსაც კი, რომელნიც ზოგი კუდაბზიკობით და ზოგიც საპირადო ანგარიშით, სომხობას კუდს უქიცინებენ!.. და მიტომაც გვიკვირს, რომ ცნობილ მოღვაწეს, ა....ლის, ეს დ. ი. ყიფიანის შესახები საყვედური უცაბედად წასცდენია!...

აკაკი.

რილით უმთავრესის შტაბის სახელზე: «16 სეკდემბერს იაპონიის მოწინავე რაზმი, ერთ ბატალიონამდე, მოაწვა მანჯურიის გზის გაყოლებაზე, დაიჭირა სიმაღლეები სოფელ ულითართან (32 ვერსზე მუკდენის სამხრეთად), მაგრამ ჩვენმა ცხენოსნებმა უკან დაახევინეს. ამის შემდეგ ჩვენმა ყაზახებმა ზარბაზნების შეწეობით გამოდევნა იაპონის როტა გამაგრებულ პოზიციების თხრილებიდან (3 ვერსზე ულითარიდან სამხრეთ-დასავლეთად), ამ დროსვე ყაზახთა სხვა რაზმებმა სადგური იანტაიმდე დააწევინეს მტერსა. ალებულს თხრილებში ყაზახებმა იპოვეს საზდო, სამკაულები და ტყვია-წამალი. ჩვენ ოთხი ჯარის-კაცი დაგვიჭრეს, ერთი უგეშოდ დაიკარგა. მტერმა კი 20 კაცი დაჰკარგა დაჭრილ-დახოცილი. 15 დ 16 სეკდემბერს შევნიშნეთ, რომ მტრის მოწინავე რაზმი ძრიელ მოგვაწვა, სადგურ იანტაის და იანტაის მადნებ შუა. 15 სეკდემბერს ჩვენი მარცხენა ფრთისაკენ პორუჩიკი შელეხოვი ყაზახებითა და სადარაჯო რაზმის ჯარის-კაცებით შეხვდა იაპონელთა ორს ესკადრონსა და ერთ როტას ოთხის ზარბაზნით, თან ხუნხუზთა დიდი ბრბოც ჰყვანდათ. ჩვენმა მსროლელებმა სულ დაუხოცეს ზარბაზნებთან მყოფნი, ამისგამო რავდენიმე სროლის შემდეგ ზარბაზანი ჩაჩუმდა. ჩვენ დაგვიჭრეს საზღვრის დარაჯთა პორუჩიკი კლირცევი და 5 ჯარის-კაცი, ერთიც მოგვიკლეს. 15 სეკდემბერს ჩანხიზაის მიდამოებში ყაზახებმა წაართვეს პირუტყვი საქონელი იაპონიის ცხენოსნებსა.

18 სეკდემბერი.

**ხარბინი.** უმთავრესი ჯარი იაპონიის ლაშქრისა თავ-მოყრილია იმ რკინის გზის შტოს მახლობლად, რომელიც მიდის იანთაის მადნებისაკენ. ეს ჯარი ნელ-ნელა მიიწევს აღმოსავლეთად. დასავლეთისკენ საკმაოდ დიდი რაზმი მტრისა ლიაოხეს დავაკებაზეა. დავენიდგან ჩრდილოეთად იაპონელები არა სჩანან.

**ლისაბონი.** მეფე-დედოფალი ნოემბრის დამდეგს აპირობენ ლონდონს წასვლას.

**ლონდონი.** (რეიტერი). ისპანიის მეფის მოსვლას 5 ოკდომბერს მოელიან ლონდონს. — ინგლისის საამირბაროში ბჭობენ და უნდა შესცვალონ ახალის გემების აგების გეგმა. ამბობენ, განზრახულია რამდენიმე გემი აღარ ააგონო. 4 ჯავშნიან გემის მაგიერ მხოლოდ 2-ს ააგებენო.

**ვლადივოსტოკი,** 17 სეკდემბერი. ვლადივოსტოკში ნელ-ნელა მოდის ხალხი და ივსება ქალაქი ახალგაზდობით, რომელიც სწავლის დაწყებისათვის მოეშურება. ლექციები და სწავლა დაიწყება 1 ოკდომბერს. ყველა გულ-დამშვიდებულია.

**მუკდენი.** ჩინეთის ლტოლვილნი კიდევ მოდიან აქ. რაკი ცარცვა-რბევა დაუბრკოლებლად ძლიერდება იმ მიდამოთა შორის, საცა ომია, სოფლის მცხოვრებნი გულ-დამშვიდებულნი არ არიან. ნუზლ-სანოვაგის და სარჩოს სიმცირე მეტად საგრძნობელია.

მდგომარეობა ჯერ ისევ გამოურკვეველია. არ არის ცნობილი, დიდი ბრძოლა მუკდენთან იქმნება თუ არა და ვინ რომელს შეუტევს პირველად.—ამბობენ, რომ პორტ-არტურს შეუძლიან ამ წლის დამლევამდე გამაგრდესო.—დეპეშა სამეფო კარის სახლთ-უხუცესისა: „მისმა უდიდებულესობამ 16 სეკდემბერს როვნოს სადგურზე ინება და მიიღო პურ-მარილი როვენის მაზრის თავად-აზნაურთა, გლეხკაცობისა და როვნოს ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელთაგან“.

**მუკდენი.** (რეიტერი). იაპონიის ლაშქრის დაწყობაში დიდი ცვლილება მოხდა. როგორც სჩანს, ისინი საგერს მოქმედებას დაადგებიან. იანტაის მადნების დასაცველად პოზიციებს ამაგრებენ. აღმოსავლეთისკენ ასეა დაწყობილი იაპონიის ლაშქარი: ერთი დივიზია ბენიუპუძთან არის, ორი—იანტაის მადნებთან, ოთხი—რკინის გზის გაყოლება ლიაოიანიდან ცოტა ჩრდილოეთად, ერთი—ხიამუდენზეს დასავლეთად და ერთიც—სანდეპანში. კუროკის ლაშქარშია 36 ბატალიონი, 9 ესკადრონი და 108 ზარბაზანი. ოკუს ლაშქარშია 60 ბატალიონი, 26 ესკადრონი და 242 ზარბაზანი. ნოძუს ლაშქარშია 44 ბატალიონი, 6 ესკადრონი და 120 ზარბაზანი. სულ კუროპატკინის წინააღმდეგ გამოყვანილია იაპონელთა ჯარი 180 ბატალიონი, რაც შეადგენს 144 ათას ხიშტსა, 6380 ხმალსა და 638 ზარბაზანსა. პირველს, მეცხრე და მეთერთმეტე დივიზიები პორტ-არტურთან არიან.

**ლონდონი.** (რეიტერი). იაპონელები რკინის გზის გადაკეთებას მორჩნენ და მიიტანეს ლიაოიანიდან ათის მილის მანძილზე. პირველი მატარებელი ამ სამიოთხი დღის შემდეგ მივა. საზოგადოდ საქმეთა მდგომარეობას ცვლილება არ ეტყობა. იაპონელთა მოწინავე რაზმები 15 მილით დაწინაურდნენ სამხრეთად, მუდამ შეხლა აქვთ რუსების მოწინავეებთან და მცირე რამ ზარალი მოსდით.

**პეკინი.** (რეიტერი). ჩინეთის გარეშე სამინისტროში ამბავი მიიღეს, სამხრეთად ჩილის პროვინციაში, შანტუნსა და ხუნანში რევოლიუციური მოძრაობაა სამეფო გვარეულობის წინააღმდეგ. გარეშე საქმეთა სახელმწიფოთა ელჩებს აუწყეს, ვიცე-კოროლს იუნშიკაის ებრძანა დააწყნაროს აღელვება, რომელიც განსხვავდება მოკრივეთა მოძრაობისაგან 1900 წელში. გარეშე საქმეთა სამინისტრო ცდილობს, რასაკვირველია, არ გააზვიადოს ამ მოძრაობის მნიშვნელობა. უცხოელებს მიაჩნიათ, რომ საქმეთა მდგომარეობა არა სანატრელ ყოფაშიაო.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

17 სეკდემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . | 93,85 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . | |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . | 94,50 |
| ბერლინში „ . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში . . „ . . . . . . | 37,50 |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | 91⅜ წ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . | 88⅞ წვ. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 385½ წ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . | 303½ წ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | 255 წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . . | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. . . . . . | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

---

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

ამ წლის 18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.)

#### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბაქოს:** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23. წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

**ბათუმს:** 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.) 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

**ერევანსა და ყარსს:** 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

**ბორჯომს:** 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

#### ტფილისში მოდის:

**ბაქოდან:** სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს 50 წ.); საქონ. სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

**ბათუმიდან:** 1) წრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.), საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

**ერევან-ყარსიდან:** საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45წ.).

**ბორჯომიდან:** სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს 9 წ. (10 ს. 7 წ.).

#### ბ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5. შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 საღამოს 1 ს. 10 წ. (2 ს. 8 წ.)

#### გ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.).

---

# განცხადებანი


ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ბ. თოფურიას

**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეგანყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

---

„**ცოდნა**“-ს

წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

ისყიდება:

| | |
|---|---|
| რაჭა სოსიკო მერკვილაძისა. . . . | 20 კ. |
| ლექსები ილია ჭავჭავაძისა—სურათით | 15 კ. |
| რაშია ბედნიერება? იასე რაჭველისა . | 10 კ. |
| სამშობლო და კაცობრიობა ი. მაჭავარიან. | 10 კ. |
| სიმღერა აკაკისა სურათით . . . . | 15 კ. |
| წმიდა გიორგის რაზმი აკაკისა . . . | 5 კ. |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები. . . | 20 კ. |
| კულტურა ლიპერტისა ნათ. კ. ყიფიანისა | 50 კ. |
| ლექსიკონი რუსულ-ქართული . . . | 50 გ. |
| ლექსიკონი საბა ორბელიანისა. . . | 2 მ. 50 კ. |
| სახოკიასი რუსულ-ქართულად. . . | 20 კ. |
| სამეგრელოს საერო სკოლები ლ. ლოლუასი | 5 კ. |
| ბაში აჩუკი აკაკისა . . . . . . . | 30 კ. |
| ვაჭრული ჭკუა აკაკისა . . . . . . | 5 კ. |
| პატარა ჩონგური (დედა ენა) . . . | 5 კ. |
| დათუნა გოცირიძე და რაჭის ერისთავი, როსტ. | 5 კ. |
| ოქროუა (ხალხური ზღაპარი) . . . | 5 კ. |
| სამი ზღაპარი . . . . . . . . | 10 კ. |
| აბრამის და იობის ლექსი . . . . | 3 კ. |
| თამარ მეფე სურათით . . . . . | 5 კ. |
| სურათი თამარ მეფისა დიდი . . . | 1—50 კ. |
| » » » პატარა. . . » | 6 კ. |
| თხზულება ია. ეკალაძისა . . . . | 1— „ |
| ქვათა ღაღადი ი. ჭავჭავაძისა . . . | „—30 კ. |
| თარგმანი იგივე რუსულად . . . . | „—50 კ. |
| დამაკვირდი, ბრძენთა აზრები . . . | „—50 კ. |
| მამიდა ასმათი გ. წერეთლისა . . . | „—20 კ. |
| თავ გადასავალი აკაკისა . . . . | 1— „ „ |
| სიტყვიერების თეორია ე. კ. . . . | 1— „ „ |
| გლეხი კაცის ისტორია 2,3, და 4 ნაწილი | 1—80 კ. |
| დამონებულნი ნათ. თ. სახოკიასი . . | 1— „ „ |
| ლექსიკონი ქართ.-რუს. ჩუბინაშვ. ყდ. | 9— „ „ |
| ამ გვარივე რუსულ-ქართული ყდით . | 3— „ „ |
| ლექსიკონი რ. ერისთავისა ბოტინიკრ. | „—60 კ. |
| ანტონ ქათალიკოზ, ქართ. ღრამატიკა | 1— „ კ. |
| ვახუშტის გეოგრაფია . . . . . | 2— „ „ |
| ისტორ. საბუთები შიო მღვიმის მონასტრ | „—50 კ. |
| ვეფხვის ტყაოსანი წ. კ. გამოცემული. | „—60 კ. |
| მზა მეტყველება ანტონ ქათალიკოზისა. | 2— „ „ |
| დავით გურამიშვილი . . . . . . | 1— „ „ |
| ქართლის ცხოვრება I, II და III. . | 1—80 „ |
| Вступл. Грузіи въ сос. Имп. Рос. | „—40 к. |
| Исторія Грузинск. церк. Е. К. | 2 р. „ „ |
| კალმასობა იოვანე ბატონიშვილისა . | 1— „ „ |
| ამირან-დარეჯანიანი . . . . . . | 1— „ „ |
| ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტის . | 1— „ „ |
| რამას განდევნა ალ. ს—შლისა. . . | „—40 კ. |

თხზულებანი: აკაკი წერეთლისა, ილია ჭავჭავაძისა, ალ. ყაზბეგისა, მამია გურიელისა, გიორგი წერეთლისა, გრ. აბაშიძისა, ვაჟაფშაველასი, არაგვისპირელისა და სხვათა.

| | |
|---|---|
| საქართველოს დიდება, საბინისასი. . | 1—20 კ. |
| სურათები ქართველ მწერალთა და მსახიობთა საფოსტო ღია ბარათზე თითო. | „—5 კ. |

აქვე ისყიდება სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები და ყოველგვარი ქართული წიგნები.

ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას, დაუყოვნებლივ გაეგზავნება ფას დადებით.

მისამართი ფოსტით: Тифлисъ книжный магазинъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე.**

---

# საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს № საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, 4 9, სერგიევსა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—21)

---



ვერცხლისა



ოქროსი



ტფილ. გამოფენა.




# ქარხანა

ზეთიანის საღებავებისა (კრასკებისა)

## ა. ა. თ უ თ ა ე ვ ი ს ა

თხუთმეტ ამ თვის ივლისიდამ შემოკვეთით ვამზადებ რკინის სახურავებისთვის და იატაკებისთვის (ДЛЯ ПОЛОВЪ) ყველა ნაირს ფერს ზეთით გაღესილს საღებავებს (краски). გპირდები ყველას ჩემ ნაცნობს და უცნობს, რომ საღებავები იქნება უტყუარი და მაღალის ღირსების მასალით შეზავებული *), «ბელილა» და სხვა საღებავებიც გვექნება დამზადებული; ვინც მოისურვებს, ხელოსნებსაც გაუგზავნი, როგორც ტფილისში ისე სხვა ადგილას. მე თითონაც დაუხედამ საქმეს, თუ საჭირო იქნება, აგრეთვე ვიღებ სახლების აშენებას, მყავს ყველანაირი ხელოსნები, ეკკლესიის სახურავებისთვის სამღვდელოებას დაეთმობა პრეისკურანტის ფასებზედ ფუთი მანეთ ნაკლებ, საქონელი ფასდადებითაც გაიგზავნება 50% ბეის მიღებით. ჩემი ადრესი: ტფილისს, ადალო თუთაევი, ელისაბედის ქუჩა, დიდუბეში, საკუთარ სახლებში.

*) რადგანაც საღებავები ძნელი საცნობია და წასმის შემდეგ მალე ფუჭდება, ამისათვის მაღლის ღირსების მასალით შეზავებული საღებავი ერთი ხუთად მეტს გასძლებს. (20—19)

---

მ ს წ რ ა ფ ლ მ ბ ე ჭ დ ა ვ ი

# სტამბა

ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემენარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებულიყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფასი ყველასთვის ხელმისაწდომია.

---

ქალაქი იურევი, ლიფლიანდიის გუბერნიაში.

## კერძო სავაჟო სასწავლებელი I რიგ. გუგონ ტრეფნერისა

მოსამზადებელის კლასითა და **პანსიონით.**

ამზადებენ შეგირდებს სხვა სასწავლებლებში შესასვლელად, უმაღლეს სასწავლებლებში ეგზამენების დასაჭერად და სამხედრო სამსახურისათვის. შეგირდები მიიღებიან ყოველ დროს, სწავლების ლის პირველსაცა და მეორე ნახევარსაც. წლოვანება არ აბრკოლებს შეგირდის მიღებას. ფასი სწავლისა და შენახვისათვის 110 მ. ნახევარს წელიწადში. ძმებისათვის ფასი ნაკლებია. დაიწყება სწავლა 16 მარიამობისთვეს 1904 წ. არზის შემოტანა შეიძლება ყოველ დროს. უფრო დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება პირადად და წერილობით მიიღოს მსურველმა ქ. იურიევში (ლიფლ. გუბ.), საკუთარ სახლში, კონნაია ქუჩა, № 2.


Дозволено цензурою Тифлисъ 18 сентября, 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи